თანამშრომლობითი წერითი პროექტის შესახებ

რამაზ სვანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ramaz.svanidze@atsu.edu.ge

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.958

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიურმა კრიზისმა საქართველოსა და მთელი მსოფლიო საზოგადოება ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. დასწრებული სწავლებიდან დისტანციურზე გადასვლა დიდი გამოწვევა იყო და არის საგანმანათლელბო სფეროსთვის. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია სწავლა/სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც სივრცითი დაშორების მიუხედავად უფრო მეტად უზრუნველყოფს განათლების სისტემის მონაწილეთა თანამშრომლობასა და ხარისხის ამაღლებას. თვისებრივი მეთოდის საშუალებით შეჯამებული იქნა თანამშრომლობითი წერის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ასევე თანამშრომლობითი სასწავლო წერითი პროექტის აღწერა, რომლის თემა იყო გადაშენების პირას მყოფი ცხოველები და ფრინველები. პრაქტიკული პროექტის შედეგების შეფასებისას ხაზი უნდა გაესვას იმ კრეატიულ ტექსტებს, რომლებიც ონლაინ-ინსტრუმენტის საშუალებით შეიქმნა. ტექსტის სახეობების დეტალურმა განხილვამ საშუალება მისცა სტუდენტებს საკუთარი აზრები სხვადასხვა ფორმით თავისუფლად გადაეტანათ ვირტუალურ ფურცელზე. პროექტის მონაწილეების აზრით, შთამბეჭდავი იყო პერსონიფიკაციის ხერხი, რამაც მათ შემოქმედებითად განაცდევინა ცხოველთა და ფრინველთა მდგომარეობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტისადმი კომპლექსურმა მიდგომამ ენის შემსწავლელებს განუვითარა არა მხოლოდ წერითი კომპეტენცია, არამედ ყველა საჭირო სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევა, ასევე გაუმდიდრა თემატური ლექსიკა ეკოლოგიისა და ბუნებისმეტყველების კუთხით, გაუმყარა სინტაქსური სტრუქტურები. საკმაოდ დიდ ხიბლს წარმოადგენდა ისიც, რომ სახელმძღვანელოსგან განსხვავებით პროექტზე მუშაობამ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა სტუდენტებს, რამაც მათი ავტონომიურობისა და თანამშრომლობის ხარისხი გაზარდა. მათ მიერ შერჩეული საკითხების განხილვამ პოზიტიური ემოციური ბმულობა გააქტიურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემოციური ინტელექტის განვითარება ადამიანის წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია. დასკვნის სახით შეიძება ითქვას, რომ ნებისმიერი პროექტის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სტუდენტთა ჩართულობის მაღალი ხარისხი, რამაც თავდაპირველი სირთულეების მიუხედავად დასახული მიზნების მიღწევის საშუალება მოგვცა.

საკვანძო სიტყვები: კოლაბორაციული წერა, *წერითი კომპეტენცია*

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიურმა კრიზისმა საქართველოსა და მთელი მსოფლიო საზოგადოება ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. დასწრებული სწავლებიდან დისტანციურზე გადასვლა დიდი გამოწვევა იყო და არის საგანმანათლელბო სფეროსთვის. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია

სწავლა/სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც სივრცითი დაშორების მიუხედავად უფრო მეტად უზრუნველყოფს განათლების სისტემის მონაწილეთა თანამშრომლობასა და ხარისხის ამაღლებას.

ვიდრე უშუალოდ კოლაბორაციული წერის სხვადასხვა სახეობას წარმოვადგენდეთ, განვიხილავ ტერმინის „kollaborieren“ („კოლაბორაცია“) ეტიმოლოგიას. ლათინური წარმომავლობის სიტყვა გერმანულ ენაში ფრანგული ენის გავლით შევიდა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა *მტერთან თანამშრომლობას* გულისხმობდა. გერმანული ენის ციფრულ ლექსიკონში მხოლოდ პირველ მნიშვნელობასთან კავშირში მყოფი კოლოკაციები გვხვდება, თუმცა დღესდღეობით ამ სიტყვამ პოზიტიური კონოტაცია შეიძინა და „თანამშრომლობას, ერთობლივ მუშაობას“ („zusammenarbeiten“) ნიშნავს. გერმანულ სივრცეში უპირატესობა ენიჭება ზმნას „kooperieren“ („კოოპერაცია“), რადგან ბუნდოვანებას გამორიცხავს (ამას ყველაზე პროდუქტიულ წლებში გავრცელების სიხშირეც მოწმობს: *kollaborieren* - 0.79, *kooperieren* - 8.77). ამ სიტყვათა გავრცელების მრუდები შემდეგნაირად გამოიყურება: ორი მნიშვნელოვანი პიკის (1980 და 1989 წლები) შემდეგ *კოლაბორაციის* (*kollaborieren)* გავრცელების სიხშირე იკლებს და 1946 წლის ნიშნულის ქვემოთაც კი ჩამოდის. *კოოპერაციას (kooperieren)* საპირისპიროდ მზარდი განვითარება აქვს. რაც შეეხება ზედსართავ სახელს „კოლაბორაციული“ (kollaborativ) ანუ „თანამშრომლიბითი“, „ერთობლივი“ („gemeinsam“; „zusammen arbeitend, entwickelnd“), მხოლოდ პოზიტიურადაა კონოტირებული და ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომლის დროსაც რამდენიმე მხარე ერთობლივად მუშაობს.[1]

რაც შეეხება ტერმინს *კოლაბორაციული წერა,* აღინიშნება ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება: გამოიყენება ისეთი ტერმინებიც, მაგალითად, როგორიცაა, *კოოპერაციული, თანამშრომლობითი* ან *ჯგუფური წერა.* მართალია, უპირატესობას ვანიჭებთ *თანამშრომლობით წერას,* რადგან ქართული შესატყვისი კარგად წარმოაჩენს მის არსს როგორც მეცნიერთა ვიწრო ჯგუფისთვის, ასევე ფართო წრეებისთვის, თუმცა *კოლაბორაციული წერის* საერთაშორისო დონეზე გავრცელების გამო აღნიშნულ ნაშრომში ორივე ტერმინს ვიყენებთ.

დემუთი შემდეგნაირად განმარტავს *კოლაბორაციულ მუშაობას*: „რამდენიმე პიროვნება ან ჯგუფი ერთსა და იმავე შინაარსზე მუშაობს [...] ერთსა და იმავე [...] ან სხვადასხვა დროს [...], მოდერაციით ან მის გარეშე. ტექსტის ნაწილები სხვადასხვა ავტორის მიერ იქმნება [...]. თუმცა ერთობლივი პროდუქტი შესაძლებელია შეიქმნას ისე, რომ თითოეული ყველა მონაკვეთში საკუთარ აზრს წერს. მოკლედ: კოლაბორაციული მუშაობა ნიშნავს თანამშრომლობის ინტენსიურ ფორმას. ხშირად ამით თანამშრომლობის ისეთი ფორმები იგულისხმება, რომლებიც სულ მცირე ნაწილობრივ თვითორგანიზებულია.“ [დემუთი, 2016: 2] მკვლევარი სამი

[1] https://www.duden.de/rechtschreibung/kollaborieren; https://www.dwds.de/wb/kollaborieren; https://www.dwds.de/wp/?q=kollaborieren; https://neueswort.de/kollaborieren/#wbounce-modal; https://www.dwds.de/r/plot/?view=1&corpus=zeitungenxl&norm=date%2Bclass&smooth=spline&genres=0&grand=1&slice=1&prune=0&window=3&wbase=0&logavg=0&logscale=0&xrange=1946%3A2022&q1=kollaborieren, ბოლო ნახვა განხორციელდა 2022 წლის 12 აპრილს.

წყვილეული ნიშნით აზუსტებს კოლაბორაციულ მუშაობას: *ასინქრონული/სინქრონული, სხვადასხვა/ერთი ადგილი და თვალსაჩინო-დაფარული ავტორი.* [Ibid: 3] აღნიშნული ტერმინები წინამდებარე ციტატის კონტექსტში გასაგებად მიგვაჩნია და აღარ ჩავუღრმავდებით.

მკვლევრები განიხილავენ კოლაბორაციული წერის სტრატეგიებს *ერთი ყველასთვის, თანმიმდევრული, პარალელური და რეაგირებადი წერა,* მათ დადებით მხარეებსა და გამოწვევებს. აქვე აღსანიშნავია, რომ დავალებები და აქტივობები სამ ნაწილად იყოფა: *მოსამზადებელი, საკუთრივ კოლაბორაციული და პოსტკოლაბორაციული წერის ეტაპი.* თავის მხრივ, მეორე ასპექტი 4 ნაწილისგან შედგება: *1. ჯგუფის ჩამოყალიბება; 2. ჯგუფის სამუშაო გეგმები: დავალების განხილვა (მოლოდინები და სხვ.); მიზნების ფორმულირება; როლების განაწილება; სტრატეგიის შერჩევა; სამუშაო გეგმის შემუშავება; 3. ტექსტის პროდუქცია; 4. დასრულება: საბოლოო დოკუმენტის მიღება; ჯგუფის წევრებს შორის შეთანხმება; პროცესის პორტფოლიოს შექმნა.* [შტურმი, 2008: 1-2; ლოური და სხვ., 2004: 74-81, 84, სურათი 9] ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტში თითქმის ყველა სტრატეგიასა და აქტივობას მივმართეთ, რათა მიზნები წარმატებით მიღწეულიყო.

ახლა დეტალურად განვიხილოთ კოლაბორაციული წერის პროცესი, რომელიც შვიდ ეტაპად იყოფა: 1. *იდეების წარმოქმნა-განვითარება, შეკრება (გონებრივი იერიში)*; 2. *იდეების დაკავშირება; 3. დაგეგმვა; 4. ფორმულირება; 5. კორექტურა 6. გადამუშავება; 7. საბოლოო რედაქცია* [ბიურკი/შტუკი-ვოლცი 2010, 90-91; ლოური et al. 2004: 82; ცხრილი 3]. ეს მონაკვეთები ჩვენი პროექტის შემთხვევაში მიმდინარეობდა როგორც სინქრონულად, ასევე ასინქრონულად. აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნა ასევე შემდეგი ფაქტორები: *1) სერიოზული მომზადება; 2) კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება; 3) მასწავლებლის, როგორც პროცესის თანამგზავრისა და მრჩევლის როლი,* რაც მისგან საჭიროებისამებრ მოქმედებას მოითხოვდა. *4) პროდუქტის დაფასება* [ბიურკი/შტუკი-ვოლცი, 94-95]. ეს ფაქტორები ემსახურებოდა სტუდენტებში კრეატიული და კრიტიკული აზროვნების, ასევე წერითი, სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

თანამშრომლობითი სასწავლო წერითი პროექტის თემა იყო გადაშენების პირას მყოფი ცხოველები და ფრინველები. პროექტის პირველი სამუშაო დღე დაიწყო მონაწილეების ჯგუფებში გადანაწილებით. შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა გადაშენების პირას მყოფი ცხოველისა ან ფრინველისადმი ინდივიდუალური ინტერესი. არჩევანი შეჩერდა ტროპიკული ტყის, სავანის, უდაბნოსა და ანტარქტიდის ბინადრებზე, როგორიცაა ტუკანი, ჟირაფი, მენდეს ანტილოპა და პინგვინი. მონაწილეებმა ინტერნეტში მოიძიეს მასალა აღნიშნული ცხოველებისა და ფრინველების, ასევე მათი საცხოვრებელი გარემოს შესახებ, მონიშნეს მნიშვნელოვანი ინფორმაციები, მათ შორის, ტიპური ლექსიკური ერთეულები და ერთმანეთს გაუზიარეს. სტუდენტებმა წაკითხული ტექსტების გადამუშავების საფუძველზე წარმოადგინეს მოკლე პრეზენტაციები. შემდგომში მათ უყურეს იუთუბ-ვიდეოს და უპასუხეს შეკითხვებს: მაგალითად, რატომ ემუქრებათ ამ სახეობებს გადაშენება?

როგორ შეიძლება მათი გადარჩენა? შემდგომი აქტივობის მიზანი იყო, სტუდენტებს შეესწავლათ ტექსტის სხვადასხვა სახეობები (დიალოგი/მინი სცენარი თეატრისთვის, ისტორია, წერილი, დღიური) და აღეწერათ მათი მახასიათებლები. მათ ასევე გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პირველ პირში თხრობა, შინაგანი მონოლოგი, განცდილი მეტყველება. მონაწილეებმა გადაიტანეს პირველი კრეატიული იდეები ონლაინ-ინსტრუმენტის „ZUMpad"-ის ვირტუალურ ფურცელზე.

მეორე სამუშაო დღეს სტუდენტებმა გააგრძელეს ტექსტებზე მუშაობა, საბოლოოდ რედაქტირებული ტექსტები გადაიტანეს ვორდის ფორმატში (წერითი კონფერენცია). მონაწილეებმა ივარჯიშეს ტექსტების თხრობაში, ყურადღება მიაქციეს პარავერბალურ ასპექტებს და ერთმანეთს გაუზიარეს რჩევები. მათ წარმოადგინეს ტექსტები მეტყველების კულტურის პარამეტრების გათვალისწინებით. ბოლოს შეაფასეს პროექტი, წარმატებები, გამოწვევები და დაგეგმეს მომავალი წერითი პროექტის თემა.

პრაქტიკული პროექტის შედეგების შეფასებისას ხაზი უნდა გაესვას იმ კრეატიულ ტექსტებს, რომლებიც „ZUMpad"-ის საშუალებით შეიქმნა. ტექსტის სახეობების დეტალურმა განხილვამ საშუალება მისცა სტუდენტებს საკუთარი აზრები სხვადასხვა ფორმით თავისუფლად გადაეტანათ ვირტუალურ ფურცელზე: 1. მინი სცენარი „საოცრება სავანაში", 2. „პატარა ისტორია დიდებისთვის", 3. „პინგვინი ჩიკოს წერილი", 4. „დედა ტუკანის დღიური".

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ პროექტისადმი კომპლექსურმა მიდგომამ ენის შემსწავლელებს განუვითარა არა მხოლოდ წერითი კომპეტენცია, არამედ სოციალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგალითად, ერთმანეთის მოსმენა, სხვების აზრის გათვალისწინება, კონსტრუქციული კრიტიკის გამოთქმა და თავადაც კრიტიკასთან გამკლავება), ასევე გაუმდიდრა თემატური ლექსიკა ეკოლოგიისა და ბუნებისმეტყველების კუთხით, გაუმყარა სინტაქსური სტრუქტურები. პროექტის მონაწილეების აზრით, შთამბეჭდავი იყო პერსონიფიკაციის ხერხი, რამაც მათ შემოქმედებითად განაცდევინა ცხოველთა და ფრინველთა მდგომარეობა. საკმაოდ დიდ ხიბლს წარმოადგენდა ისიც, რომ სახელმძღვანელოსგან განსხვავებით პროექტზე მუშაობამ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა ენის შემსწავლელებს, რამაც მათი ავტონომიურობა და თანამშრომლობის ხარისხი გაზარდა. მათ მიერ შერჩეული საკითხების განხილვამ პოზიტიური ემოციური ბმულობა გააქტიურა. ემოციური ინტელექტის განვითარება სასწავლო პროცესის აუცილებელი მიზანი უნდა იყოს, რადგან ის ადამიანის წარმატებული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი საწინდარია. ნებისმიერი პროექტის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სტუდენტთა ჩართულობის მაღალი ხარისხი, რამაც თავდაპირველი სირთულეების მიუხედავად დასახული მიზნების მიღწევის საშუალება მოგვცა.

ლიტერატურა

1. Bürki, Gisela; Stucki-Volz, Germaine: „Zu zweit allein“ – kooperatives Schreiben am Beispiel eines Klassenromans. Diskussion und Reflexion eines schulischen Schreibprojekts. In: Der Deutschunterricht 6/2010.
2. Demuth, U.: Kollaboratives Schreiben. 2016. Abgerufen von www.die-bonn.de/wb/2016-kollaboratives-schreiben-01.pdf, letzter Zugriff am 12.11.2021
3. Lowry, Paul Benjamin; Curtis, Aaron; Lowry, Michelle René: Building a Taxonomy and Nomenclature of Collaborative Writing to Improve Interdisciplinary Research and Practice. In: Journal of Business Communication. 41/66/2004.
4. Sturm, Afra: Kooperatives Schreiben – eine grundlegende Fähigkeit. Rundschreiben Zentrum Lesen – Pädagogische Hochschule der FHNW – Institut Forschung und Entwicklung. 15/2008.

Ramaz Svanidze
Akaki Tsereteli State University

About a collaborative writing project

Abstract

The pandemic crisis caused by Kovid-19 has put Georgia and the whole world community in a difficult situation. The transition from traditional attendance to distance learning has been and is a great challenge for the field of education. In such a situation, it is important to use forms of teaching / learning that, despite the spatial distance, further ensure the cooperation and quality of the participants in the education system. The scientific literature on collaborative writing was summarized using a qualitative method. The aim of the research was also to describe a collaborative learning writing project focusing on endangered animals and birds. Evaluating the results of a practical project should highlight the creative texts that have been created through the online tool. A detailed discussion of the types of text allowed students to freely express their thoughts in a variety of ways on a virtual sheet of paper. According to the project participants, the way of personification was impressive, which made them creatively experience the condition of animals and birds. However, it should be noted that the complex approach to this project has developed not only written competence for language learners, but also all the necessary social and communication skills, as well as enriched thematic vocabulary in terms of ecology and natural sciences, strengthened syntactic structures. It was also a great charm that, unlike the textbook, working on the project gave more freedom to the students, which increased their degree of autonomy and cooperation. Discussing the issues selected by them activated a positive emotional bond. It should also be noted that the development of emotional intelligence is an

important prerequisite for human success. In conclusion, it can be said that one of the most important criteria for the success of any project is the high degree of student involvement, which allowed us to achieve the set goals despite the initial difficulties.

Key words: collaborative writing, written competencies.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. ჩერნოვატი